ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 10 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 126 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 126

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „ი მ ე რ ე თ ი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიერთაზ ისჲ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ღრმად დამწუხრებულნი ტიხონ ალექსის ძე ასათიანი და მეუღლე მისი ალექსანდრა გრიგოლის ასული, შვილები: ნიკოლოზ და კუკუნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 7 ამა აგვისტოს ბორჯომში უდროვოთ გარდაიცვალა პირველთა დაუვიწყარი შვილი, ხოლო დანარჩენთა უძვირფასესი და,—ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს სასწავ. მეოთხე კლასის მოსწავლე—

## ტ ა ს ი კ ო (ანასტასია)

რომლის დაკრძალვა მოხდება სავვარეულო სასაფლაოზე, ს. ქვიტირის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში, კვირას 10 აგვისტოს პანაშვიდი ამავე დღეს, დილის 12 საათზე. გამოსვენება საღამოს 4 საათზე, ივან. ქუჩ. დუჩაიძის სახლიდან ცალკე მოსაწვევი ბარათი არ დარიგდება.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: სოფიო კალანდარაშვილისა, ნინა ვოლკოვისა, მაშიკო და მანია ასათიანები და ვალენტინ კალანდარაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 7 ამა აგვისტოს ბორჯომში უდროვოთ გარდაიცვალა პირველთა დაუვიწყარი და საყვარელი ძმის შვილი, ხოლო უკანასკნელის მამიდაშვილი, ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს სასწავ. მეოთხე კლასის მოსწავლე

## ტასიკო (ანასტასია) ასათიანის ასული,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 10 აგვისტოს ს. ქვიტირში. პანაშვიდი ამავე დღეს დილის 12 საათ., გამოსვენება საღამოს 4 საათ. ივანოვის ქ. დუჩაიძის სახლი.

---

გრიგოლ გიორგის ძე კლდიაშვილი, ცოლი მისი ევდოსი გიოგის ასული და შვილები მისი: ვასილი, იასონი, გრიშა, კოლია, ბაბილინა, ოლია და ნინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ დაკარგვას ძვირფასის და დაუვიწყარის წმ. ნინოს ქალთა სასწავ. მე 4 კლასის მოწავლის

## ტასიკო ასათიანის ასულისას

გამოსვენება კვირას—10 აგვისტოს. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი.

---

მწუხარებით მოცულნი ღვ. იასონ ჩხიკვაძე, მეუღლე მისი ანნა მათეს ასული, შვილები მათი სერგო და ნინა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ დაკარგვას ქუთ. ქ. წმ. ნინოს სასწ. მეოთხე კლასის მოსწავლის, დაუვიწყარისა და საყვარლის

## ტასიკო ასათიანის ასულისას,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ს. ქვიტირში კვირას, 10 აგვისტოს. პანაშვიდი ამავე დღეს, დილის 12 საათზე, ხოლო გამოსვენება—საღამოს 4 საათზე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი.

---

დეკანოზი იოსებ გრიგოლის ძე გიორგაძე, ძე ამისი ღვდელი ნესტორი და მეუღლა მისი პელაგია დავითის ასული, გაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 15 მარიამობისთვეს, სოფ. ჯვარისაში (ოკრიბა), ჯვარისის წმიდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი სულის მოსახსენებლათ პირველის მეუღლისა, მეორის დედისა, ხოლო მესამის დედამთილის

## აღათი რომანოზის ასულის გიორგაძისა.

---

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9-12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

## დამეკარგა ატტესტატი 471,

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

---

## ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ:

ქალაქში ხმა გავრცელდა, თითქოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები მომავალი ოთხი წლისათვის (1914—1918 წ.წ.) სხვა დროისათვის გადადებულიყოს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს

## ხმა სიმართლეს მოკლებულია:

არჩევნები მოსდება მდგომარე 1914 წლის 14 სექტემბერს,

და იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ მდგომარე აგვისტოს 14 რიცხვისათვის გამოსაცხადებელ საბოლოო საარჩევნო სიაში,

დაუყონებლივ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასადის „ნედოიმკები“.

---

## ა მ დ ღ ე ე ბ შ ი

ქ უ თ ა ი ს შ ი გ ა მ ო ვ ა ა ლ მ ა ნ ა ხ ი

# „ქუთაისის საქმიანობა“.

ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Ивановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

---

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი ამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი

„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი

„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)

„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.

„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

---

ქუთაისის რეალური სასწავლებელი ამით **აცხადებს** რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელსა და პირველ კლასებში (დანარჩენებში ადგილი არაა), აგრეთვე განმეორებითი ეგზამენები ყველა კლასებში დაიწყება 22 მარიობისთვიდან. თხოვნები მიიღება 20 მარიობისთვემდი. თხოვნებთან ერთად უნდა იქმნეს წარმოდგენილი მოწმობები: 1. მეტრიკული (კანტორისა), 2. წოდებისა, 3. ყვავილის აცრისა და 4. ერთი ფოტოგრაფიული სურათი პოლიციისაგან დამოწმებული. ზემო აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლათ თხოვნა არ მიიღება.

---

## მინადორა დუნდუას

ქ ა ლ თ ა პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი,

# გ ა დ ა ვ ი დ ა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.** ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. 2 საათ.

---

## ქ უ თ ა ი ს ი

# პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავადმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. . . . . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ ღღე . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | 12½2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი**

---

**ექიმი** კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, & სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოს. გოკიელისა** შინაგანი ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** გ. დ. **ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა, სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**ექიმი** ი. ა. **ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. ვ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჭოლავასი.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

მეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**ნიში.** 8 ავგისტოს სერბიელები სდევნიან მტრის მარცხენა ფრთას დრინისკენ. წაართვეს მტერს კიდევ ერთი ბატარეია 6 ზარბაზნითურთ. მტრის მარჯვენა ფრთა უკან იხევს დევნილი სერბიელთა არტელლერიის ძლიერი ცეცხლისაგან. ჩრდილო ფრონტიდან მტერს მოაქვს სუსტი იერიში. სერბიელთა არტილერიამ დაანგრია ავსტრიელთა სანოვოსნო საზოგადოების საწყობნი ძველ მოლდავასთან. 5 გემი წვის, მეექვსე ააფეთქეს, ბევრი ნავი განადგურდა.

**პეტერბურგი.** 8 ავგისტო. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოაცხადა ცნობა ბელგიის ბრძოლის ველზე მდგომარეობის შესახებ: ბელგიის ლაშქარმა, რომელიც ანტვერპენს ეყრდნობოდა, უკან დაიხია ციხესთან კავშირის უზრუნველ საყოფათ. მთავრობამ თავისი რეზიდენცია ბრიუსელიდან ანტვერპენში გადაიტანა. რადგანაც ბრიუსელი გამაგრებული არ არის და ამას იქით იგი რეზიდენციას არ წარმოადგენს, გერმანელებისაგან მის დაკავებას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. ბელგიის არი, თავისი მდგომარეობით გერმანელთა მარჯვენა მხარესთვის საშიშარია, როცა ისინი დასავლეთისკენ გამოილაშქრებენ.

**პარიზი.** გერმანიის კავალერიამ ბრიუსელი დაიჭირა. ბელგიის ლაშქარმა ანტვერპენში დაიხია და იქ მტერი არ მიუშვია.

**ნიში.** 7 ავგისტო. სერბთა მთავარი სადგომი იუწყება, რომ ცერის მთიან ადგილებში და მდინარე იადარზე მოხდა ცხარე ბრძოლა. მტერი საშინლათ დამარცხდა და გაიქცა, დასტოვა იარაღი, ურმები და მრავალი მასალა. ტყვეთ ბევრია წაყვანილი. სერბიელები მტერს კვალდაკვალ მისდევდენ.

**მინსკი.** 8 ავგისტო. ჩამოიყვანეს ავსტრიელ ტყვეთა პირველი პარტია.

**პარიზი.** 8 აგვისტო. სამხედრო სამინისტრო ოფიციალურ ათ იტყობინება, რომ ფრანგთა ჯარებმა პრწყინვალეთ გაიმარჯვეს მიულგაუზენსა და ალტკირხენს შუა. გერმანელები რეინისაკენ იხევიენ. მათ დასტოვეს მრავალრიცხოვანი ტყვე. ფრანგებმა ხელთ იგდეს 24 ზარბაზანი, რომელთაგან 6 ქვეითა ჯარებმა ბრძოლის დროს წაართვეს. ლოტარინგიაში გუშინდელი დღე გუშინწინდელზე ნაკლებ იღბლიანია: ფრანგთა მოწინავე ჯარი თავს წააწყდა მტერთა ბევრათ ძლიერ, პოზიციას, რომელთა კონტრ იერიშით ფრანგები იძულებული გახდენ დაეხიათ მთავარი ძალებისაკენ, სადაც მჭიდროთ გამაგრდენ მდინარე სეინზე მარინეს არხთან.

**პარიზი.** 7 ავგისტოს რესპუბლიკის მთავრობამ აცნობა სახელმწიფოებს, რომელნიც ხელმოწერილი იყვნენ გააგის კონვენციაზე, რომ, როგორც ფრანგთა აღმოსავლეთის ჯარის სარდლის 21 ივლისის მოხსენებიდან ჩანს, გერმანელებმა დახოცეს ბევრი დაჭრილი. ესროდენ მათ, თელავდენ ფეხით და სხ. გერმანელების ბავარიელი ქვეითი ჯარისკაცები სისტემატიურად სწვავდენ იმ სოფლებს, რომლებზედაც გაიარეს, მაშინ როდესაც არტილერიის ცეცხლს არაფერი ზიანი არ მიუყენებია ამ სოფლებისთვის, წინ გაიძღოლებდენ ხოლმე მცხოვრებთ, როგორც მზვერავებს. 29 ივლისის მოხსენებაც ამასვე იმეორებს რომ გერმანელები წინ მირეკავენ ხოლმე დედაკაცებს, როდესაც სოფლებიდან გამოდიან საომრად. რესპუბლიკის მთავრობა სთხოვს განათლებულ სახელმწიფოებს დასდვან შესაფერი მსჯავრი ამ საშინელ ბოროტმოქმედებას, რომელიც სამარადისოდ ჩირქსა სცხებს დამნაშავე მეომარ მხარეს. სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებმა მოსთხოვეს პრეფექტებს აღნიშნონ დაწვრილებით თითოეული ფაქტი ამგვარ ბოროტმოქმედებათა, რაც საჭიროა გერმანიასთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად.

**კოპენჰაგენი.** (რიცხვი არ არის ნაჩვენები) რიტცაუს სააგენტომ გამოაქვეყნა საფრანგეთის აქაური ელჩისაგან მიღებული ანგარიში გერმანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, როდესაც ფრანგებმა უკან დაიხიეს ლოტარინგიაში.

**სოფია.** 7 ავგისტო. გამოცხადდა, რომ ბურგასის ნავსადგური დაკეტილია. ვარნის პორტში შეიძლება შესვლა და გამოსვლა მხოლოდ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდი იმ პირობით კი, რომ გემს უნდა ახლდეს ლოცმანი.

**რომი.** (დაგვიანებულია). საელჩო ენერგიულად ეხმარება რუსის მოგზაურებს. ერთი პარტია გაგზავნეს რუსეთში ორი გემით. ვისაც ნათესავი ჰყავს იტალიაში, უზრუნველყოფილია. იტალიის მთავრობა და საზოგადოება თანაგრძნობით ეპყრობიან რუსებს. იტალიურ გაზეთებს ატყობინებენ, რომ ავსტრიელებს შეშინებით. ძალით გაყავსთ ჯარში სლავები. ურჩთ ხვრეტენ.

**კოპენჰაგენი.** ანტვერპენიდან ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ ბრძოლის ველზე მდგომარეობა არ შეცვლილა. გერმანელთა ცხენოსანი პატრულები ბრიუსელის გარშემო დადიან და სწყვეტენ ყოველგვარ მისვლა-მოსვლას და დამოკიდებულებას ბრიუსელსა, ანტვერპენსა და შინაგან პროვინციებს შორის.

**ლონდონი.** ანტვერპენიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ბელგიის პოზიციებზე, რომელთაც ბელგიელი მამაცურათ იცავდენ რამდენიმე დღის განმავლობაში, გერმანელების საუცხოვო ძალებმა მიიტანეს იერიში. დიდი ბრძოლის შემდეგ ბელგიელებმა გადასწყვიტეს უმთავრესი ბინის მოლიმედან ანტვერპენში გადატანა და ჯარის უმთავრესი ძალების იქითვე გადაყვანა. ბელგიელთა დიდი ძალები უზრუნველყოფენ ნამიურის დაცვის საქმეს, რომელსაც უმთავრესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მდინარე მაასისათვის.

**პარიზი.** 8 ავგისტო. ამერიკის სავაჭრო პალატის თავჯდომარემ პარიზში აცნობა ვაჭრობის მინისტრს, რომ ამერიკის ფირმები მზათ არიან მიაწოდონ ფრანგთა სამრეწველოს მთელი წყება შეკვეთილი საქონლისა 200 მილიონ ფრანკათ ღირებული, მასთან შეკვეთილი საქონლის გადატანის უზრუნველყოფას თითონ კისრულობენ. გაზეთები ამ ფაქტში შეერთებული შტატების საფრანგეთისადმი სიმპატიას ხედავენ.

**რიგა.** 8 ავგისტო. მზის დაბნელება მოხდა ნაშუადღევის მეორე საათის 8 წამზე - პეტერბურგის დროისა. ცამ, პირველად ცოტათი მოღრუბლულმა, დაბნელების სრული ფაზის დროს მოიწმინდა და შესაძლებელი შეიქნა მშვენიერი სანახაობის ხილვა. სრული ფაზისი დაბნელებისა მოხდა ნაშუადღევის 2 საათ. 28 წამ 48 წუთზე და გაგრძელდა 2 წამსა 10 წუთს. რიგაში მოსული მეცნიერები უკვირდებოდენ დაბნელებას ორ ადგილიდან.

**კოპენჰაგენი.** კარლსბადიდან იტყობინებიან, რომ დეკანოზი რიშკოვი ციხეში ჩასვეს, მხოლოდ საეკლესიო ფულებს კონფისკაცია უყვეს. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ისპანიის ელჩმა მთავრობას მწუხარება განუცხადა იმის შესახებ, რომ გერმანიასთან მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს, მოხუცებულებს და ავათმყოფ ბავშებსაც კი, თანახმად მთავრობის განკარგულებისა, ნება არ ეძლევათ გერმანიიდან წასვლისა. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ ისიც სწუხს ამაზე, მაგრამ მიუთითა, რომ ომისაგან გამოწვეულ სასტიკ ზომებს განიცდიან გერმანიის ქვეშევრდომებიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში. შემდეგ გამოსთქვა აზრი, რომ გერმანიის მთავრობა შეეცდება, რაც შეიძლება უკუაგდოს სასტიკი ზომები.

**მოსკოვი.** 8 ავგისტო. რიაზანის რკინის გზის საზოგადოებამ მოაწყო ჰოსპიტალი 100 სულით ავათმყოფისათვის, სანიტარული მატარებლები და 5 საყინულე მატარებელი მოწინავე პოზიციებზე ყოველდღე 5000 ფუთი ხორცის გადასატანათ.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავრობამ მიმართა პროტესტით იმ სახელმწიფოებს, რომელთაც გააგის კონვენციას ხელი მოაწერეს მის გამო, რომ დაუცველ ქალაქს, პონტამუსონს, გაუფრთხილებლათ ზარბაზნები დაუშინეს. მასთან ერთად ზარბაზნებს განსაკუთრებით იმ მხარეს ესროდენ, სადაც ისტორიული ნაშთების ჰოსპიტალია მოთავსებული. სროლის დროს მოკლეს და დასჭრეს 8 ქალი და ბავში.

**პეტერბურგი.** წარსული დღეების განმავლობაში პეტერბურგის სააგენტომ მიიღო რამდენიმე ცნობა დაჭრილთა და ავათმყოფ მეომრების ოჯახების საზოგადო დახმარების შესახებ. მათ რიცხვში მოსკოვის საბირჟო კომიტეტი შეკრებილ 5100000 მანეთით აწყობს ჰოსპიტალს 3000 საწოლით, სანიტარულ მატარებელს და თეთრეულის მომზადებას.

აზნაურთა ორგანიზაცია აწყობს 35 სანიტარულ მატარებელს.

მოსკოვის მონასტრებმა ქალაქს მისცეს შენობები 1200 დაჭრილთათვის, თითოულ დაჭრილს 12 მანეთი მიეცემა თვეში.

კვირას საგუბერნიო ერობამ დაადგინა აირჩიოს საგუბერნიო საერობო კომიტეტი და გადასდოს მის განკარგულებაში 300000 მანეთი ავათმყოფ და დაჭრილ მეომართა დასახმარებლათ. შემდეგ დაადგინა გადასდოს 100000 მ. სრულიად რუსეთის საერობო კავშირის ცენტრალურ კომიტეტისთვის, 70000 მ. საოლქო კომიტეტის მოსაწყობათ ჲ 130000 მ. ომში გაწვეულ ოჯახთა დასახმარებლათ.

**ბაქო.** ნავთის მრეწველთა სიეზდის საბჭომ ნახევარი მილიონი გადასდო; აქედან 320,000 წითელი ჯვარს 200 საწოლიან ჰოსპიტალის მოსაწყობათ, 80000 მანათი მეფის მოადგილის განკარგულებაში კავკასიიდან ომში გაწვეულთა საჭიროებისათვის და 100,000 მ. ბაქოში ჰოსპიტალის მოსაწყობათ.

**პეტერბურგი.** ოფიციალურად. უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბიდან. 7 ავგისტოს ჩვენმა ჯარებმა სამხრეთ ფრონტზე მდინარე ზბრუჩი გადიარეს და ავსტრიის ტერიტორიაზე გადვიდენ. აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო [illegible]

**პარიზი** 7 ავგისტო. [illegible] ცნობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მტერს ერთი პუნქტიც არ უკავია საფრანგეთის ტერიტორიის, გარდა ოდენლერომანის მცირე კუთხისა. გერმანიის ჯარები განაგრძობენ მაასზე გადასვლას და გროვდებიან კოის მიდამოებში. გასულ ღამეს ფრანგულმა დირიჟაბლმა რამდენიმე ყუმბარა ესროლა გერმანულ ცხენოსან ჯარის ორ ბივუაკს, რამაც ბივუაკებში ალიაქოთი გამოიწვია. იმ წამსვე ცეცხლი ჩააქრეს და თოფები დაუშინეს დირიჟაბლს, რომელმაც მოასწრო გაქცევა.

**ნიში.** 7 ავგისტო. მთავარ კვარტირიდან იუწყებიან, რომ ლოზნი კ-ლეშნიცის ახლოს 7 ავგისტოს დიდი ბრძოლა მოხდა, რომელიც სერბიელების გამარჯვებით დამთავრდა. მტერი დამარცხდა და გარბის ყოველ მხრიკენ, ეშურება მოასწროს ხიდებს რინაზე. გაქცევის დროს მტერმა სერბიელებს მდიდარი ნადავლი დაუტოვა. სერბებმა ხელში ჩაიგდეს 40 ზარბაზანი, მრავალი ტყვე ოფიცერი, სამხედრო სურსათი, ცხენები, საველე ლაზარეთი მასალით და მოსამსახურეებით. ავსტრიელების ზარალი დიდია. რამდენიმე პოლკი მთლად განადგურებულია.

## უკანასკნელი ცნობები.

### ლონდონი.

,,ტაიმსი'' იტყობინება, რომ იტალია დიდ სამზადისშია. ოსმალეთი ღონისძიებას ხმარობს, რომ ინგლისელებმა დარდანელი არ დაიკავოს. დარდანელს ნაღმებით ამაგრებენ.

### რიგა.

გერმანიის ესკადრები ყოველდღე ლიბავის ახლოს დაიარება. მემოლიდგან ჩამოსულები ამბობენ, რომ მემელი გერმანელებმა საჰოსპიტლო ქალაქათ აქციეს მთელის ჯარისთვის.

### პეტერბურგი.

გერმანელ და ავსტრიელ ქვეშევრდომათ მიღების შესახებ ძალიან ფრთხილად ეპყრობიან, აქამდის მხოლოდ ექვსია რუსეთის ქვეშევრდომათ მიღებული.

### კოპენჰაგენი.

გერმანულ პროვინციალურ პრესის სიტყვით, ეკონომიური მდგომარეობა გერმანიის მცხოვრებთა გაჭირვებულია. მრავალ სამრეწველო დარგში უკვე კრიზისი მეფობს.

### პეტერბურგი.

უარჰყოფენ ხმას, საზღვარგარეთის პრესაში გავრცელებულს, ვითომც კრეისერი ,,ასკოლდი'' გერმანულ კრეისერ ,,ენდენთან'' ბრძოლაში დაიღუპა.

# ცოლის შერთვა.

(ფრანგულით).

„პიერ-ელი, შენი წერილია“, იძახდა წერილების დამტარებელი და თან თოვლს იბერტყდა თვის ლურჯ პაჭიჭებიდან. პიერ-ელიც გამოვიდა თვის ბოსლიდან და მისკენ გაემართა. ზანტათ გაუწია ხელი და მძიმეთ მიაძახა: „მაშ, მოიტა, სელესტან! დამტარებელმა დაიწყო ხელის ფათური თავის ჩანთაში და მალე ამოიღო პატარა სურნელოვანი კონვერტი. „ღმერთო ჩემო, რა კარგი სუნი აქვს!“ წამოიძახა დამტარებელმა: ,,ალბათ, ძალიან სასიამოვნო წერილია, არა?“.

კმაყოფილების ღიმილით, სელესტანი ემზადებოდა წასასვლელათ და ვერ ამჩნევდა, როგორმა სიწითლემ მოიცვა უცბათ პიერ-ელის სახე. გარდა ამისა ღამეც აღწევს და მალავს ორმოცდა ათი წლის მოხუცის მღელვარებას.

დამტარებელი შორდება იქაურობას და უსწორ-მასწორო ბილიკით, რომელიც უვლის ირგვლივ მინდორს, მალე მიიმალება. გლეხმა ეხლა კი გასინჯა თვისი წერილი. „ბ. პიერ-ელი კორტეს, შარმილის მესაკუთრეს'', გაიბუტბუტა მან; ,,რა მშვენიერი ხელით არის ნაწერი! სჩანს სცოდნია ამის დამწერს კალმის მოხმარა... როგორც ფოსტის შტემპელიდან სჩანს, ის ცხოვრობს ლოზანაში. უნდა გავიგო ვინ არის, მაგრამ ცოტა არ იყოს მეშინია.''

აღელვებული, ცნობის მოყვარეობით შეპყრობილი ორივე ხელით წერილს ჩასჭიდებია და მისთვის ფალები ვერ მოუშორებია ჯერ კიდევ.

მორიცხვათ გამოჩნდა ორთქლი იმ ბოსლის ნახევრათ გაღებულ კარიდან, რომელშიაც ძროხები, ჩამწკრივებულნი თავიანთ საპირეებს, განცხრომით იცოხნებოდენ. პიერ-ელიმ გადაავლო მათ თვალი, რათა დარწმუნებულიყო, რომ ყოველივე იქ რიგზე იყო; შემდეგ, ცოტათი დაღონებული, მიხურავს კარს და მძიმე ნაბიჯით მიეშურება სახლისაკენ. აუჩქარებლივ გადივლის ხმარებისაგან ჩაღრმავებულ კიბის საფეხურებს, რომელთაც მიყავს დერეფანში და აქედან სამზარეულოში. ერთი კონ. ლერწამი იწვის ნჭის ქვეშ (კერაზე); როგორც გავს, შერმილელთ არ უღალატნიათ ძველ ჩვეულებათათვის, და ამ კერას პატრონსაც სულყოველთვის უარი უთქვამს ახალი ღუმელის შემოღებაზე მიუხედავათ იმისა, რომ მრავალჯერ განუმარტავთ მისთვის თანამედროვე ღუმელების უპირატესობა; მას გაგონებაც კი არ უნდოდა და იქცეოდა ისე, როგორც თვის მამას პიერ-აბრამს და ბაბუა მისს პიერ-მოსეს ჩვეულებათ ქონდათ. კონსერვატორს სულის სიღრმეში, მას ვერ წარმოედგინა მამაპაპათაგან ნაანდერძევზე უკეთესი და კმაყოფილდებოდა იმით, რაც მათ გამოცდილებას შეუქმნია და მისთვის გადაუციათ. მას, საზოგადოთ აუჩქარებელს, მოეწყო თვისი სიცოცხლე კედლის საათივით, რომელიც მუდამ ერთგვარი სიჩქარით მოძრაობს და, თუ ერთხელ შეჩერდა, კვლავ არასოდეს ამუშავდება. მეოცნებე ჲ მუდამ ჩაფიქრებული, ის ბუნების სიმშვენიერეში პოულობს კმაყოფილებას. გაზაფხულის დასაწყისი, ფოთოლთა ცვევნა და პირველი თოვლი შეადგენენ მის სიცოცხლეში თვალსაჩინო და მძიმე მოვლენათ, რომელთაც ის განსაკუთრებულ წიგნაკ-კალენდარში აღნუსხავდა ხოლმე. მისთვის საკმარისი იყო მისი ძროხების საზოგადოება და თუ მას ისინი უყვარდა, არც ეს უკანასკნელნი ივიწყებდენ მას, რომელსაც თავის დღეში არ მოსვლია აზრათ ცოლის შერთვა. რათ ესაჭიროებოდა მას ცოლი? მარტო იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე ის დაინახავდა მისას ახლათ შერთულ ცოლს, სიმშვიდეს უკარგავდა; არა. ის ძალიან კმაყოფილია მოხუცებულ მელანასი, რომელიც ახლაც კი უხარშავს კარტოფილის სუპს ნაჭაზე ჩამოკიდებულ კარდალაში და მასაც მეტი არა უნდა რა. შავი თავსაფარი, წარბებამდის ჩამოშვებული, ჩრდილს აყენებს მოხუცებულ ქალის მეტყველ სახეს, რომელიც, გაიგებს თუ არ პიერ-ელის შესვლას სამზარეულოში, მისკენ მიიხედავს: „უკვე აქ ხართ, ბ კორტე? განა მორჩით სამუშაოს ბოსელში? ჯერ ხუთი საათიც არ არის. —„არა მელანო, მე სხვა საქმე მქონდა“.

მოხუცი ქალის დაუნდობელმა თვალებმა უკვე შეამჩნიეს კონვერტი, რომლის დამალვას პიერ-ელი ცდილობდა თავის განიერ მუჭში. „დამტარებელმა მოგიტანათ რამე?“ შეეკითხა იგი პიერ-ელის ცოტა ბრძანებელი კილოთი.

—„ხო“... არაფერი! ამასწინეთ ათიოდე ფიჭვი რომ მოვსჭერი, იმის შესახებ...

—„როოო“, თავის ქნევით წარმოსთქვა მელანომ, რომელიც, სჩანდა, ვერ დარწმუნებულიყო და გაოცებული სინჯავდა რატონს, რომელმაც, თავი რომ დაეღწია ამ მდგომარეობას, თავის ოთახს მიაშურა და კარებიც სიფრთხილით მიიხურა თან.

„ახირებულია მელანო“, წაიბუტბუტა პიერ-ელიმ; გეგონებათ, რომ ეჭვი აუღიაო! მართლაც, ძნელი კი იქნება მისთვის ყველაფრის გამხელა, და გასაგებიცაა, რადგან ოცდათუთხმეტ წელიწადს უმუშავნია ამ ოჯახში. მე ხომ არა მაქვს განზრახვა დავითხოვო, ხოლო თვითონ ისურვებს დარჩენას?... ასე თუ ისე, ეს სულ მისი ბრალია; გასულ კვირის განმავლობაში ძალიან ცუდათ ექირა თავი; ყველაფერი ამიფორიაქა და სიტყვასაც მიბრუნებდა. არც უნდა გაუკვირდეს, თუ მე, მოთმინებიდან გამოსულმა, განცხადება გავუგზავნე გაზეთს!... სხვა რომ არ იყოს, უნდა გავიგო ვინა მწერს: ეს პირ ელი პასუხია“...

აქ ამოიღო ჯიბიდან ძვლის ტარიანი დანა, რომელსაც ის პურისა და ყველის საჭრელათ ხმარობდა და, როგორც იყო, გახსნა კონვერტი; ამოიღო ვარდის ფერი, ძალზე სურნელოვანი, საუცხოვო ხელით ნაწერი ბარათი. ცხვირზე სათვალეებ ჩამოდებული პიერ-ელი ბუტბუტებს:

„ბ. წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთში და მე თანახმა ვარ მივიღო თქვენი წინადადება - ცოლათ გამიყვეთ. სოფელი მე ყოველთვის მომწონდა. წარმოდგენილი მაქვს, რავდენათ პოეტიური იქნება გათენებისას აყვავილებულ მინდორებში სეირნობა“... აქ პიერ-ელიმ ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა: „მართალია, ეს ადვილი დასაწერია, მაგრამ როდესაც საჭირო იქნება მქელთათვის სადილის წაღება, ეს სულ სხვა რამ აღმოჩნდება ალბათ.. ვნახოთ, აბა, რას სწერს კიდევ...

„...ფრინველთა გალობის მოსმენა, არაფერი ისე არ მხიბლავს, როგორც ყვავილებითა ვსილი ბაღი“...— და ჰარხალი, ქალბატონო, ჰარხალი გავიწყდებათ, —წაილაპარაკა პიერ-ელიმ, სადაც კვირაობით შეიძლება ტკბილ ოცნებას მიეცეს კაცი. დავნიშნოთ პიმანი ნახევარ გზაზე —ივერდონის სადგურზე. მე იქ პარასკევს ვიქნები, საღამოს შვიდ საათზე და თქვენ ადვილათ მიცნობთ. ტანათ მაღალი და წვრილი ვარ, თაღხათ ჩაცმული, მხურავს ხავერდის შლიაპა, თეთრი ფრთებით მორთული. აი, აქ ჩვენ მოვილაპარაკებთ და საერთო ცხოვრებისათვის ერთიმეორეს ხელს გაუწვდით.

თქვენი ლუიზა დესოს ასული.

— „აი ხათაბალა თუ გინდა, ეს არის“ წამოიძახა კორტემ. „რა ქენი ეს, ჩემო საბრალო პიერ-ელი? ხომ გაიბი თავი მახეში. მარტო განცხადების გამოქვეყნება როდი კმარა; მის შემდეგსაც უნდა დახვედრა. რას იზამ! კაცმა თვის სიტყვას არ უნდა უღალატოს; ყოველშემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა წინდაწინვე დავფიქრებულიყავი, არ უნდა ავჩქარებულიყავი და არ უნდა გავჯავრებოდი მელანოს მარტო იმისათვის, რომ რაღაც ერთხელ სუპი გადამიხრაკა და კატას ძეხვი შეაჭამა. დესოს ასული კორტეს ცოლი რომ გახდეს, ის ხომ გაცილებით მეტ დაუდევრობას გამოიჩენს. ძნელია ფერმერის ცოლობა, როდესაც პოეზია ასე გხიბლავთ! მაინც ვნახოთ, მხოლოთ შეუძლებელია იმ დროისთვის სადგურზე ყოფნა. ჯერ საქონელი უნდა მივხედო; შემეძლო ეს სხვისთვის მიმენდო, მაგრამ ჩემსავით ვინ მომისაქმებს, არა! ჯერ ჩემს საქმეს მოვისტუმრებ და არა უშავს, რომ ქ-ნ ლუიზამ ერთი საათი ზედმეტი მოიცადოს.

გაიფიქრა ეს ჩვენმა პიერ-ელიმ, წერილი თვისი ჯიბის სიღრმეში დამალა და ბოსლისაკენ გაემართა, მაგრამ სამზარეუ-

# ომის დღიური.

უკანასკნელი დეპეშები, და მეტადრე გუშინდელი, ნათელს ჰფენენ ომის მიმდინარე ამბების ვითარებას ბელგიაში. მართალია, ამ უკანასკნელ ამბებში ისეთებიც ურევია, რომელიც გაოცებას გამოიწვევს, მაგრამ ეს მხოლოდ ელზასის ამბებს შეეხება. მაგალითად, გუშინდელ დეპეშებში ნათქვამია, რომ ფრანგის ჯარებმა მიულჰაუზენი და ალტკირხენი აიღეს. ალტკირხენთან და მიულჰაუზენთან ბრძოლა კი ერთ კვირაზე მეტია რაც მოხდა და მაშინვე იტყობინებოდნენ, რომ მიულჰაუზენი ფრანგებმა დაიჭირეს. ამ ერთი კვირის წინეთ რომ მიულჰაუზევთან მართლა ბრძოლა მოხდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთის სამხედრო შტაბი იძულებული იყო გამოეცხადებინა, მიულჰაუზენის აღების დროს ჩვენ ოცი ათასი კაცი არ დაგვიკარგავსო. რა კი დეპეშა ამ ამბავს იმეორებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში გერმანელებმა ისევ დაიბრუნეს მიულჰაუზენი. მაგრამ ასეთი დასკვნა მაშინ გერმანიის საომო გეგმას არ თანხმდება: ამ გეგმის ძალით ელზასისე სამხრეთი ნაწილი, რომელიც გაუმაგრებელ ადგილს წარმოადგენს, უბრძოლველათ უნდა ყოფილიყო მიტოვებული. მაშასადამე გერმანელები პირველ ხანებში მაინც არ ეცდებოდნენ მის დაბრუნებას. მათი გეგმა მოითხოვს, რომ თვით ფრანგები წავიდნენ ჩრდილოეთ ელზასისკენ. ამიტომ მდგომარეობა ელზასის ბრძოლის ველზე შემდეგ ნაირად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. ფრანგებმა ალტკირხენი და მიულჰაუზენი ერთი კვირის წინად აიღეს, გერმანელებმა კი ამ ხნის განმავლობაში სულ მთლად დასცალეს სამხრეთ—ელზასი და სტრასბურგისკენ დაიწიეს. ამით, ცხადია, წინ წასწიეს ფრანგის ჯარებიც და მიულჰაუზენიც ზურგს უკან მოექცა საფრანგეთის ჯარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულ მათ განკარგულებაშია.

ასეთი კონცეტრაცია მეომარი ჯარებისა სტრასბურგისკენ მით უფრო ადვილი წარმოსადგენია, რომ სტრასბურგი, როგორც ძლიერი სიმაგრე, ელზას-ლოტარინგიის ცენტრში სდევს, და ლოტარინგია კი ზედ აკრავს ფრანგულ ნანსის რაიონს, სადაც ხდება, აი, ჟამად სამხედრო ოპერაციები, ამას გარდა იგივე ზომა გერმანიის სამხედრო ძალებს ბელგიაში მომქმედ ჯარებს უახლოვებს, ამ რიგად მთელი სამხედრო გეგმა გერმანულ მთავარ შტაბისა შეედეგ ნაირად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. გერმანია იწევს ჩრდილოეთით და ამით სრულს უმოქმედობაში სტოვებს საფრანგეთის ისეთ პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრეებს, როგორიც არიან ბელფორი, ბეზანსონი და მთელი რიგი სხვა სიმაგრეთა, ამავე დროს მთელის ძალით აწვება საფრანგეთს ლოტარინგიის, ლიუქსემბურგის და ბელგიის მხრით, რომელთაგან ბელგიის სამზღვარი ნაკლებათ გამაგრებულია, და გამაგრებულათ ჩაითვლება მხოლოდ სედანის და ახლო მდებარე სიმაგრეთა რაიონი.

თვით ბრძოლის ველზე კი უკანასკნელ დროს შემდეგი ამბები მოხდა. გუშინდელის ცნობებით გერმანელებმა ბრიუსელი დაიკავეს, ბელგიის ჯარმა კი ანტვერპენისკენ დაიხია. თუ ეს ცნობა მართალია, ჩვენ იგი უნდა განვიხილოთ, არა მარტო როგორც გამარჯვება გერმანელ ჯარისა. ბელგიის ჯარის ანტვერპენისკენ დახევა იმას ნიშნავს, რომ პირველ ხანებში მაინც იგი ველარ შეუერთდება საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებს. ამას გარდა იგივე ცნობა ნათელს ჰფენს იმ გარემოებასაც, რომ საფრანგეთის და ინგლისის ჯარები ჯერ ბრიუსელთან მისულნი არ არიან. წინასწარ გამოანგარიშებით მოკავშირეებს ბრიუსელთან 400000 ჯარისკაცი უნდა მიეყვანათ. იმის ფიქრი, რომ ეს ჯარები ბრიუსელთან იყვნენ და მაშინ მოხდა ბრიუსელის დაკავება, ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ბელგიაში მომქმედი გერმანიის ჯარი ამ ჟამად სამს კორპუსს არ აღემატება, რომელიც ვერ შესძლებდა მოკავშირეთა დამარცხებას. ეს უკანასკნელი გარემოება არც დეპეშებშია აღნიშნული. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრიუსელის აღებას მხოლოდ ის დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ ამიერიდან გერმანიას ლონისძიება ეძლევა ხელი შეუშალოს ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების შეერთებას.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ოსმალეთი და გერმანია.**

ბუხარესტიდან მოსულ ცნობით, ოსმალეთმა გერმანიისგან სამხედრო საქმეებისათვის ერთი მილიონი ოსმალური გირვანქა იარაღი და სამხედრო სურსათი მიიღო.

**ოსმალეთი და სამთა შეთანხმება.**

სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა კვლავ განუცხადეს ბრწყინვალე პორტას პროტესტი გერმანულ კრეისერების თავის პორტში დატოვებისთვის და ომით ემუქრებიან, თუ შეიარაღებას თავს არ დაანებებს.

**რუსეთი და ოსმალეთი.**

„უტრო როსიის“ სიტყვით, სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა ენერგიულად მოსთხოვეს პორტას გაიყვანოს ნეიტრალურ პორტში გერმანული გემები „გებენი“ და „ბრესლაუ“. ამ წინადადების ასასრულებლათ განზრახულია რუსეთმა აზრუმი დაიკავოს.

**ბელგია და საფრანგეთი.**

გამოირკვა, რომ ბელგიისა და საფრანგეთს შორის კონვენცია დადებული იყო რეთის წლის წინეთ.

**გენერალი ჟოფფი.**

საომარი გეგმა, როგორც ეხლა ირკვევა შემუშავებულია გენერალ ჟოფფრისგან ბელგიის სამხედრო მინისტრ ბრაკკევილთან ერთად.

**გერმანელების დახვრეტა.**

ბრიუსელში სამხედრო ჯაშუშობისთვის დახვრიტეს ათი გერმანელი, რომელთა შორის იმყოფებოდა პრინცი პროსპერ არენბერგიც.

**სამთა შეთანხმების დაპირებანი.**

სამთა შეთანხმების სახელმწიფონი სცდილობენ იტალია ნეიტრალიტეტზე დაიყოლიონ, სახელმწიფონი იტალიას ტრიესტსა და ვალლონას პირდებიან. ამას გარდა თუ იტალია გერმანიას მხარს არ დაუჭერს, ალბანიის საქმეს სახელმწიფონი მის სასარგებლოთ გადასწყვეტენ.

**იმპერატორ ვილჰელმის წინადადება.**

როგორც იტყობინებიან, იმპერატორმა ვილჰელმმა ტელეგრაფით მიმართა იტალიას, რომ ჯარის მობილიზაცია მოახდინოს და საფრანგეთის საზღვრებზე გაგზავნოს იგი. იმპერატორი ვილჰელმი პირდება, რომ ამისთვის იტალიას ალბანიაში დამოუკიდებელ მოქმედების უფლება მიეცემა.

**ისპანია.**

გერმანია სცდილობს ისპანიაც ჩაითრიოს ომში. იგი ურჩევს ისპანიას თავისი ჯარები საფრანგეთისკენ გაგზავნოს, რის გულისთვისაც საფრანგეთის მაროკკოს გადაცემას ჰპირდება.

**რუმინია.**

ზოგიერთების აზრით რუმინია სამთა შეთანხმების მხარეზე დადგება, თუ რუსეთი ტრანსილვანიის დაკავების გარანტიას მისცემს.

**ბულგარეთი და ოსმალეთი.**

ვენაში ოსმალეთისა და ბულგარეთის საელჩოების წინ გერმანელებმა მანიფესტაციები მოახდინეს. ბულგარეთის ელჩმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დაამთავრა: „გაუმარჯოს ავსტრიასო“. ტურკოფილური მანიფესტაცია მოხდა ბუდაპეშტშიც.

**გენერალ ფონ-ემიხის სიკვდილი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან ბელგიაში მომქმედ გერმანიის ჯარის სარდლის გენერალ ფონ-ემიხის სიკვდილს.

**მოსავალი გერმანიაში.**

გერმანიის წყაროებით მოსავლის დამზადება გერმანიაში დასრულდა და წინააღმდეგ ნაანგარიშევისა ეს მოსავალი გერმანიას მთელის წლის განმავლობაში გამოჰკვებავს.

**დაჭრილი კრონპრინცი.**

იმპერატორი ვილჰელმი მაინციდგან აახენში გაემგზავრა დაჭრილ შვილის სანახავად.

**შეერთებულ შტატების შუამავლობა.**

შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა გერმანიას იაპონიასთან შუამავლობა აღუთქვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სწერს „მორნინ პოსტი“, გერმანული მცირე რიცხოვანი ესკადრა იძულებული იქნება მამაცურად დაიღუპოს იაპონიის ძლიერ ფლოტთან უსწორო ბრძოლაში.

---

# ომი და პოლონეთი.

**მოწოდება პოლონელებისადმი.**

31 ივლისს ვარშავის თავზე გერმანული ჰაეროპლანი გამოჩნდა, რომელმაც ვარშავაში შემდეგი შინაარსის მოწოდება გადმოყარა:

„ახლოვდება მოსკოვის მონობიდან განთავისუფლების წუთი. გერმანიისა და ავსტრო-ვენგრიის შეერთებული ჯარები მალე გადმოლახავენ პოლონეთის სამეფოს სამზღვარს. მოსკალები უკვე უკან იხედებიან. დაეცემა მათ მიერ სისხლით გაჭედილი მონობა, რომელიც სულს გიხუთავთ უკვე ასი წელიწადია.

ჩვენ მოვდივართ თქვენთან როგორც მეგობრები. მოგვეპყარით ისე, როგორც მეგობრებსა, ჩვენ მოგვაქვს თქვენთან თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლისთვისაც იტანჯებოდნენ თქვენი წინაპრები. დეე, აღმოსავლეთის ბარბაროსობამ ადგილი დაუთმოს დასავლეთის ცივილიზაციას, რომელიც ერთი გვაქვს და თქვენ,

მეამბოხენო, მოიგონეთ თქვენი წარსული ეგზომ დიდი და სახელოვანი, გახდით მოკავშირე ჯარებათ—შეერთებულის ძალებით ჩვენ განვდევნით პოლონეთის სამზღვრებიდან აზიურ ურდოს. ჩვენ მოგვაქვს აგრეთვე თავისუფლება სარწმუნოებისა და პატივისცემა რჯულისა, რომელიც ეგრე გათელილია რუსეთისაგან.

დეე წარსულიდან და აწმყოდან აღადგნენ ყინულები ციმბირისა, სისხლის საქმენი პრაგისა და ტანჯვანი უნიატებისა. ჩვენს დროშებთან ერთად თქვენთან მოდის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“.

გერმანიისა და ავსტრო-ვენგრიის ჯარის უმაღლესი მთავრობა.

**ერცჰერცოგი კარლ სტეფანე—პოლონეთის მეფე.**

რუსეთის ჯარის უავგუსტოეს მთავარ სარდლის დიდი მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის საპასუხოთ ავსტრიის ჯარების მთავარ სარდალმა ერცჰერცოგი კარლ სტეფანე პოლონეთის მეფედ გამოაცხადა. ერცჰერცოგი კარლ სტეფანე ავსტრიის საიმპერატორო ოჯახის წევრია და ცოლად ჰყავს პოლონელ თავადის რადზივილის ასული. თავად რადზივილის ასულზე კარლ სტეფანემ ჯვარი 1908 წელს დაიწერა.

---

# მდგომარეობა ბალკანეთზე.

ოსმალეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის და რუმინიის საქციელი ჯერ კიდევ გამოურკვეველია, ამ ჟამად ოსმალეთი თავის ჯარებს ბულგარეთის საზღვარზე უყრის თავს ფრაკიაში. ეს გარემოება თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ ოსმალეთს ან ევროპის ომით სურს ისარგებლოს და დაიბრუნოს ის ადგილები, რომელიც ბულგარეთმა წაართვა მას ბალკანეთის ომის დროს, ან ბულგარეთის მთავრობის შეშინება სურს, რომ საბერძნეთთან მოსალოდნელ ომის დროს თავისუფლად გაატაროს თავისი ჯარი ბულგარეთის ფრაკიაზე.

იმავ დროს ოსმალეთისგან ორი ახალ გერმანულ კრეისერის შეძენა იმის მომასწავებელია, რომ თუ საბერძნეთი არ დაეთანხმა ოსმალეთის სურვილებს—ომს გაუმართავს ზღვაზე.

ბულგარეთის მთავრობა თითქოს არწმუნებს რუსეთის დიპლომატიას, რომ სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს. მაგრამ იმავ დროს პეტერბურგში ძალიან კარგად იციან, რა ფასიცა აქვს ბ.ბ. გენადიევების და რადოსლავოძეების დაპირებას, და ბულგარეთის ფიცს სკეპტიკურად უცქერიან.

ამ სკეპტიციზმს მით უფრო საფუძველი აქვს, რომ პეტერბურგში ეჭვიც კი არავისა აქვს, რომ, თუ თვით ბულგარეთის კაბინეტის წევრები არა, მისი აგენტები მაინც ეწევიან ინტრიგას და მაკედონიაში აშკარად მუშაობენ მებრძოლ რაზმების მოსაწყობათ.

ასეთი გარემოება კი სერბიას აიძულებს თავის ჯარის ნაწილი მაკედონიაში დასტოვოს, და ეს იმ დროს, როცა იგი მთელ თავის ჯარებს ავსტრიის წინააღმდეგ საჭიროებს. უკანასკნელ დღეებში რუსოფილური მოძრაობა ბულგარეთში თითქოს გაიზარდა, მაგრამ რუსეთის დიპლომატიას არავითარი ცნობა არა აქვს, რომ ამ მოვლენას რამე გავლენა ჰქონდეს იმ პოზიციაზე, რომელზედაც სდგას ბულგარეთის მთავრობა.

გამოურკვეველია აგრეთვე რუმინიის ყოფაქცევა. უკანასკნელ დროს რუმინიის საელჩოს პეტერბურგში არავითარი ინსტრუქცია არ მიუღია ბუხარესტიდან. ეს იყო მიზეზი, რომ თვით გახდა ბ. დიამანდი იძულებული წასულიყო რუმინიაში.

საერთოდ მდგომარეობა ბალკანეთზე ასეთია: ოსმალეთი, საბერძნეთი, რუმინია და ბულგარეთი მობილიზაციებს ახდენენ, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს სახელმწიფონი განზე არ დადგებიან და ეცდებიან ისე გამოიყენონ დრო და გარემოება, როგორც უკარნახებენ მათ მათი სახელმწიფო ინტერესები.

---

# ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

✦ **დრამატიული საზოგადოების გამგეობის სხდომა.** გუშინ 9 აგვისტოს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქუთ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის მორიგი სხდომა იმის გამოსარკვევათ, თუ რა მდგომარეობაში იქნება თეატრის წარმოება მომავალ სეზონში. თუ ომი გაგძელდა, მოსალოდნელია ქუთაისში სეზონი არ შესდგეს.

**მზის დაბნელება.** 8 აგვისტოს მზის დაბნელება, რომელიც ამ დროს თითქმის ყველა ქვეყნებში უნდა მომხდარიყო, ქუთაისში ოდნავად სჩანდა. ჯერ ამ დღეს დილიდან დიდი წვიმა იყო. ნაშუადღევის 2 საათიდან ისევ გამოიდარა, მაგრამ ცა ღრუბლით გაჭედილი იყო. 4 საათზე დასავლეთით ცამ რაღაც სხვანაირი ფერი მიიღო. მზე ოთხი დღის მთვარის ოდენა ძლივს ღა მოსჩანდა. მას სხივებიც დაკარგოდა. ასე გასტანა 15 წუთს, რის განმავლობაშიც ცოტა სიცივეც დაიკავა. 15 წუთის შემდეგ მზემ ისევ იმატა და ჩვეულებრივით ზომა მიიღო.

**სასამართლოში.** 8 აგვისტოს საოლქო სასამართლოში გაირჩა ევგენი და პართენ ბალათურიების საქმე, რომელთაც სენაკის მაზრაში თაღთასხმა ბრალდებოდათ. სასამართლომ ... ვეთ იცნო და თი... ტორღა მიუსაჯა.

✦ ამავე დღეს სასამართლომ გაარჩია აქსენტი კუხიანიძის საქმე, რომელსაც 5 წლის კატორღა მიუსაჯეს.

✦ **ახალი გაზეთი.** პანტელეიმონ ლომჯარიამ თფილისის გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს მას გამოსცეს თფილისში ყოველ კვირეული, საორშაბათო გაზეთი ქართულ ენაზე—„ჩვენი იმედი“.

✦ **გამოცდები ქართულ გიმნაზიაში.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მერვე კლასში ეგზამენების საქმე კარგათ მიდის. ჯერ, რაც გამოცდები დაიწყო, ამხანაგებს არავინ ჩამორჩენია. მოწაფეებს კიდევ დარჩათ ჩასაბარებლათ ოთხი საგანი.

✦ **ახალი წიგნები.** დაიბეჭდა და იყიდება თ. მჟავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში შემდეგი ახალი წიგნები 1) „მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი; 2) „ხუცური ანბანი“ დ. კარიჭაშვილისა ფ. 1 აბაზი; 3) „ლოცვანი“ ს. ყიფიანისა ფ. 3 კაპ.; 5) „ქართული მოძრავი ანბანი“ ფ. 2 შაური. იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“ მესამე გამოცემა.

✦ **შემთხვევები.** ქუთაისში კიდევ იჩინეს თავი ჯიბგირება. 8 აგვისტოს ერთმა ვიღაცა უცნობმა გაგარინის ქუჩაზე, სადაც პოლიცმეისტარის სამართველოა, ერთ ქალს საფულე ამოართვა, მაგრამ მალე შეუტყვეს და წაართვეს.

✦ აგვისტოს ნატარიუს აბდუშელიშვილის კანტორაში შემდეგი ამბავი მოხდა: ნესტორ კოპალიანმა მამულის ფული მიიღო ვაჭრებ იოსებ საღლაძისა და ონისიმე გიორგაძისაგან. როდესაც კოპალიანმა წამოსვლა დააპირა, მას სოფრო გაბუნიამ (შუამავლობა) თავის გასამჯელო სთხოვა, რაზედაც კოპალიანმა უარი უთხრა. შემდეგ კოპალიანი დერეფანში გავიდა და ყვირილი მორთო, ფულს მართმევსო. ამ ხმაზე მოვარდა პოლიციელი დარაჯი და გაბუნია დააკავა. შემდეგ საქმეში პოლიციაც ჩაერია და გამოარკვია, რომ გაბუნიას მხოლოთ თავის გასამჯელო მოუთხოვია. კოპალიანს ოქმი შეუდგინეს და პასუხის გებაშიც მისცეს.

✦ **ოქმი.** ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ჩარჩ-მოვაჭრე ლევან ტეოსოვს ბაზარში ვაჭრობის წესრიგის დარღვევისთვის.

✦ რედაქციამ მიიღო ახალგაზდა მგოსნის, ტ. ტაბიძის ლექსების პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი, მოკლე ბიოგრაფია და ივ. გომართელის კრიტიკული წერილი.—წიგნი კარგათ არის გამოცემული, შეიცავს 192 გვერდს და ღირს 3 აბაზათ.

---

# თფილისი.

— მეფის მოადგილეს წარუდგნენ უმაღლეს კარის კამერგერი თავადი გ. ა. ბაგრატიონ დავითაშვილი, გენერალ-ადიუტანტი პ. ი. მიშჩენკო და უმაღლეს კარის კამერგერი დ. ვ. ბეზობრაზოვი.

თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობისა, თფილისის გუბერნატორი აცხადებს, რომ სტუდენტები, რომელნიც სათადარიგო ჯარში ირიცხებიან, ჯერ არ იქნებიან ჯარში გაწვეულნი, ვიდრე ან სწავლას არ დაამთავრებენ, ან ახალი უმაღლესი ბრძანება არ გამოცხადდება.

— ომისაგან დაზარალებულ კავკასიის კომიტეტს შემდეგმა პირებმა შესწირეს ფული: ჯუნკოვსკიმ—100 მან., პეტერსონმა მეუღლით—100 მან. კნ. გოლიცინისამ——25 მან., გენ. მიშლაევსკიმ მეუღლით—100 მან., საქართველოს ეგზარხოსმა პიტირიმმა—100 მან., თავად. კ. ნ. აფხაზმა—100 მან., ეპისკოპოსმა მესროპმა—100 მან.

— თფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება მისცა პრისტავებს გერმანული წარწერები და პლაკატები შეცვლილ უნდა იქნეს რუსული წარწერებით

— 8 აგვისტოს მეფის მოადგილის თანაშემწეს, გოფმეისტერ პეტერსოს, თფილისის კლუბების მამასახლისთა საბჭოს თავჯდომარენი წარუდგნენ.

— 10 აგვისტოსთვის დასასვენებლათ წასული მოსამსახურენი თფილისის საოლქო სასამართლოსი თფილისს უნდა დაბრუნდნენ.

---

ლოს რომ მოდიოდა, მელანო შეეკითხა მას: „ბ. ლუიბოვი იწერებოდა, არა ბეტყას შესახებ? რამდენს გაძლევთ“?

—ჯერ არაფერს. პარასკევს მე უნდა ჩავიდე სადგურზე, სადაც მოვილაპარაკებთ.—„ხოო!.. მიაძახა მელანომ სრულიათ დამშვიდებულათ პიერ-ელის, ცოტა არ იყოს, შერცხვა, რომ მოიცრუა და სახე წამოუწითლდა.—ან და რისთვის უნდა ეხლავე ავაშფოთო... მერეც მოესწრება.

ქარის მიერ მოტაცებულ ფოთლების სიჩქარით განვლეს ერთი კვირის დღეებმა პიერ-ელის ძალიან უნდოდა მათი შეჩერება და კედლის საათის ისრისთვის ებრძანა „შეჩერდიო“. ემიგრანტივით, რომელმაც ეს არის უნდა დასტოვოს თვისი საყვარელი მხარე და უკანასკნელათ ხედავს მის მშვენიერებას, პიერ-ელი ლანდივით დაძრწის: ხან საბძელს ინახულებს, ხან საბძელს, და ცდილობს წარუშლელათ აღბეჭდოს ყოველივე მის გონებაში და ის გარემოება, რომ აუცილებლივ საჭიროა მისი სახლკარის ცოტა შეკეთება, რაც ოდნავათ მაინც შესცვლის მამაპაპათაგან ნაანდერძევ საცხოვრებელის შეხედულებას, მას მოსვენებას არ აძლევს; სამზარეულოს შეთეთრება ესაჭიროება, ოთახს კიდევ შპალიერის გაკვრა... საღამოს, როდესაც ცეცხლს უზის, ის ცდილობს წარმოიდგინოს „იმ“ ქალის სახე და მომავალი გაითვალისწინოს, მაგრამ რამდენს არ ცდილობს, მას ყოველთვის მელანო ეხატება ხოლმე და ჩუმათ ეკითხება: „პიერ-ელი, ეს რა ქენით? რათ სცვლით თქვენს ცხოვრებას? რას მოელით მომავლისაგან?“.

პარასკევს პიერ-ელი დილიდანვე ვერ გრძნობდა თავს კარგათ და დაკარგული ძაღლივით დაძრწოდა... როდესაც მელანომ მას წვერის გასაპარსავათ თფილი წყალი მიუტანა, იქვე,—ახლო გაჩერდა: „არ დაგვავიწყდეთ ბ. ბოვის გაფრთხილება, რომ ფული ეხლავე უნდა მოგვცეს. ხომ გახსოვთ, წინეთ ექვსი კვირა გვაცთევინა და ამ დროის განმავლობაში ის ფული ბანკში რომ გვქონოდა, ცოტა მოგებას არ შემოგვიტანდა.

მხოლოდ ერთხელ, თავის პატარა სარკის წინ, პირ-ელი ფიქრობს: „რა კარგი ქალია მელანო! ოქროს გული აქვს და ყველაფერზე რომ ქე ზრუნავს!.. დესოს ასული კი აგრე მოიქცეოდა?

წვერის პარსვის დროს დანაღვლიანებული პიერ-ელი რამოდენჯერმე ამოიხვნეშებს... დრო კი გარბის... ტანთ უნდა ჩაიცვას... რომ მოიკაზმება, ერთხელ კიდევ შეხედავს სარკეს, საიდანაც ყოჩაღათ გამოიყურება მისი სახე, რომლისთვისაც სამოც წელსაც ვერაფერი დაუმჩნევია.

„პიერ-ელი“! მიმართა მან თავის სახეს სარკეში: „როდესაც ღვინო ამოღებულია, შესმაც უნდა! ეცადე კარგათ ჩაგიაროს ამ მგზავრობამ. თვალი გაახილე და ღირსეული ქალი მოიყვანე შარმილს.

სანამ გზას გაუდგებოდა, ერთხელ კიდევ გადახედა ბოსელში ძროხებს, რომლებიც მშვიდათ სთვლემდენ და ზოგიერთმა ზანტათ მოიხედა მისკენ, კარის ხმა რომ გაიგონა.—„მშვიდობით, ჩემო კარგებო! მე მივდივარ თქვენი მომვლელის მოსაყვანათ“.

(დასასრული იქნება).

გ. ა. ნ—ძე.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში. ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები, მიღებულია და იყიდება პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილებაა ქ. ქუთაისში.

**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

# რუსეთი.

**ასი როზგი უბედობისთვის.**

„ბირჟევიე ვედომოსტს“ შემდეგი ცნობა მოყავს: 21 ივლისს ვილნოში ტრამვაით მიმავალ სათადარიგო ჯარის კაცმა ბეინას მეიეროვ ზუბალსკიმ ლაპარაკის დროს გამოსთქვა აზრი, რომ მიმდინარე ომის მიზეზი რუსეთია, და კარგი იქნება, თუ გერმანია გაიმარჯვებს რუსეთზედო. ამ ლაპარაკმა საზოგადოება ააღელვა და პროტოკოლის შედგენა მოითხოვა.

გენერალ ად. რენნენკამფმა, რომელსაც წარუდგინეს პროტოკოლი, შემდეგი წარწერა გაუკეთა: ,,რადგანაც სასამართლო ამისთვის დიდ სასჯელს არ მისცემს, დაერტყას ასი როზგი ზუბალსკის და გაიგზავნოს მოწინავე რაზმებში“.

**პოდპოლკოვნიკ შულცის თვითმკვლელობა.**

ვლადიკავკაზში რევოლვერით თავი მოიკლა ბატარეის უმფროსმა არტილერიის პოდპოლკოვნიკმა შულცმა.

განსვენებულ პოდპოლკოვნიკის მახლობელნი თვითმკვლელობის შესახებ შემდეგს ლაპარაკობენ:

რა წამსვე გერმანიასთან ომი გამოცხადდა, შულცს დაღონება შეეტყო, არავის არ ელაპარაკებოდა, ცოტას სჭამდა და კაბინეტში ჩაკეტილი სულ ფიქრობდა. ნაცნობების შეკითხვაზე შულცი ან სულ არას ამბობდა ან თავის ავათმყოფობაზე უთითებდათ. სიკვდილის დღეს 22 ივლისს, შულცი თავის კაბინეტში იჯდა დილიდან და სადილათაც არ გამოსულა. 4 საათზე კაბინეტიდან სროლა მოისმა. როცა კაბინეტში შევიდენ, შულცი უკვე მკვდარი იწვა და გულიდან სისხლი სდიოდა. მაგიდაზე წერილი იდვა, რომლის შინაარსი შემდეგი იყო: ,,მე რუსის ქვეშევრდომი ვარ: ვემსახურებოდი რწმენით და სიმართლით მეფესა და სამშობლოს. მაგრამ ჩემში გერმანელის სისხლი სჩქეფს, და ამიტომ უკანასკნელ წუთს ჩემში სამსახურის მოვალეობაზე პატრიოტიზმმა გაიმარჯვა. მე არ შემეძლო წავსულვიყავ ჩემ თანამეტომეთა წინააღმდეგ, არ შემეძლო აგრეთვე მეღალატნა ფიცისთვის, მეფისთვის და ჩემ ახალ სამშობლოსთვის. ამიტომ თავს ვიკლავ და მე მგონია ერთად ერთი სწორი გზა ეს არის.

# დაბა-სოფელი.

**ს. ნავენახევი.** (სიმონეთის საზოგადოება). ოთხშაბათს, 30 ივლისს, ამ სოფელს საშინელი უბედურება დაატყდა თავს. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, რომ შეიქნა საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელსაც თან მოყვა კოკისპირული წვიმა, და ძლიერი სეტყვა, რამაც დიდათ დააზიანა, როგორც ყანები, ისე ვენახები. სეტყვამ და წვიმამ სულ ერთიანათ დახეთქა ყურძენი, რომელნიც, შემდეგ მზის გამოსვლისა, დასჭკნენ. გარდა ამისა დიდი ზარალი მიაყენა ხალხს წყალდიდობამაც.

ამ სოფელს ჩაუდის გვერდით პატარა მდინარე „ჭიშურა“, რომელიც ერთვის ს. აჯამეთის ახლო მდ. ყვირილას. ეს პატარა მდინარე ამ დღეს დიდი წვიმების გამო არა ჩვეულებრივათ ადიდდა და რამდენიმე საჟენის სიშორეზე გასცილდა კალაპოტს. ამ მანძილზე სულ ერთიანათ წალეკა თუ რამ მოიპოებოდა. სიმინდისა და ვენახების გარდა წაიღო ნამყენი ვაზის „პიტომნიკები“, რომელიც მრავლათ იყო გაშენებული ამ მდინარის პირათ. გარდა ამისა არ დაუყენებია თავის ნაპირას არც ერთი წისქვილი და ხიდი: ყველაფერი, რასაც კი მისწვდა, მოგლიჯა და გაატანა თავის ძლევა-მოსილ ტალღებს.

სწორეთ საშინელი სანახავი იყო ამ დღეს ეს მდინარე. საოცრათ გაზდილი, იგი გაშმაგებული მიექანებოდა და თან მიაცურებდა უზარმაზარ ხეებს, ქვებს და სხვა. ბლომათ წაიღო აგრეთვე სიმინდი და ფქვილი, რომელიც მიტანილი ქონდათ სოფლელებს წისქვილში დასაფქავათ.

ხალხი ძლიერ გაჭირვებულია, განსაკუთრებით უწისქვილობით. თუ დღემდი სიმინდი ქონდათ საძებარი, ეხლა წისქვილიც საძებარი გაუხდათ, და მის საძებნელათ ათი-თორმეტი ვერსის სიშორეზე უნდა წავიდენ. ამას თან დაუმატეთ ეხლა უგზოობა და უხიდობა, და თქვენ ნათლათ წარმოგიდგებათ სურათი დღევანდელი ამ სოფლის მცხოვრებთა გაჭირვებისა. ამიტომ ძლიერ კარგი იქნება, რომ ვინმე აღადგენდეს იმ რვა დაქცეულ წისქვილში ერთს მაინც და ამით ცოტაოდნათ მაინც შეუმსუბუქებდეს ხალხს გაჭირვებას.

**აშოტ. კურაპალატი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**




ექიმის იკ. ბოკერიას

# საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

დაიწყო ხელის მოწერა

**ჯაჯუ ჯორჯიკიას**

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით ქუთაისი, ბაღის ქუჩა (Садовая ул.) სერ. გერსამიას.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი თყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ღამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვრიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ზანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფალავასთან **მალლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საგარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

# განცხადება.

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

**ამით აცხადებს, რომ**

**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

# შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

# შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული ა ქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ც შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს--1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

# განცხადება.

**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში** მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ჩუბარეიშვილი.

**კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.**

**✖ ✖ წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა ✖ ✖**

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **კრებული** პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის სააზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

# თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

# აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

# მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ყორყოლაძეების

# ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის‘‘.

# ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქ უ თ ა ი ს შ ი

# ველოსიპედები




ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

**ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ**

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

# ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

# გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.